

**საქართველოში ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების
რეგულირება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო
სტანდარტებთან მიმართებაში**

ჭიოტაშვილი დავით

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი
ORCID-0000-0002-2500-6252

ჩიტაძე ხალიანა

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი
ORCID-0000-0001-6795-9484

<https://doi.org/10.52340/idw.2025.71>

აბსტრაქტი: ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით ბიზნეს ურთიერთობების გამარტივების შესაძლებლობაა, რაც გვამძლევს საშუალებას ნებისმიერი ბიზნეს სუბიექტის ანგარიშგება გახდეს ადვილად აღსაქმელი, გასაგები და შესადარისი საერთაშორისო მასშტაბით. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და მორგება საქართველოში წარმატებით ხორციელდება, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად სხვადასხვა მრავალმხრივი და მოცულობითი სამუშაოებისა, აღნიშნული საკითხები დღემდე მსჯელობის, განსახილველ და საკამათო საკითხს წარმოადგენს. ფინანსური ანგარიშგების სანდოობის გაზრდისა და გამჭვირვალობის ძირითადი საკითხები საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სრულყოფილად არ გვამძლევს საბოლოო შედეგს.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, შესწავლა და გაანალიზება იმ ძირეული საკითხების, რომლებიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების რეგულირებას საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. ნაშრომში გაანალიზებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის მოქმედების სფერო, სააღრიცხვო პოლიტიკის შეფასება და გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება; მცირე და საშუალო საწარმო; ფინანსური ანგარიშგების რეგულირება; ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი.

შესავალი:

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში, ხელშეწყობა და შემდგომი ზრდა დღეისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. სწორედ სახელმწიფოსა და ბიზნეს სუბიექტების ხასიათის ერთერთი დამაკავშირებელი რგოლი მცირე და საშუალო საწარმოებია, რომელთაც მიმართულებას ასრულებენ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაში.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ საქართველოში საჯარო სექტორი კერძო სექტორისაგან გაიმიჯნა და აღნიშნულმა ცვლილებამ ფინანსური აღრიცხვის მეტად სრულყოფა გამოიწვია. საქართველოში დაიწყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, რომელიც დაეფუძნა ევროპის და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დამკვიდრებულ და გამოცდილ საერთაშორისო სტანდარტებს.

პირველ ეტაპზე დღის წესრიგში დადგა ბიზნეს სუბიექტებისთვის შედარებით

სრულყოფილი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სამეწარმეო სფეროს აღრიცხვის ზოგადი პრინციპები და გადაიდგა ნაბიჯები საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასასვლელად. შემდგომ ეტაპზე მიღებული კანონის, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ თანახმად, სავალდებულო გახდა კერძო სამართლის სუბიექტებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება.

2009 წელს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებულმა ასოცირების შეთანხმებამ საბოლოოდ განსაზღვრა ბიზნეს სუბიექტების ზომითი კატეგორიები და შესაბამისობა ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან და რეგულირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის ეროვნული სპეციფიური თავისებურებების გათვალისწინებით, რის საფუძველზეც დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები: რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს და რა პრობლემების და გამომწვევების წინაშე დგას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა საქართველოში და რა შედეგები დაიდო დღემდე? შესაძლებელია თუ არა ისეთი უნივერსალური ფინანსური ანგარიშგების მოდელის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის თუ რა შესაძლებლობები არსებობს ფინანსური საქმიანობის შეფასების სრულყოფის მიმართულებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შემდგომ ეტაპებზე?

მეთოდოლოგია

ნაშრომში განხილულია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების რეგულირების ეტაპები, მისი შესაბამისობა სახელმწიფოს სამართლებრივ მოთხოვნებთან და ევროკავშირის დირექტივებთან.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა საინფარმაციო რესურსებით მოპოვებული ინფორმაცია, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ გვერდიდან მიღებული ინფორმაცია. ნაშრომი ეფუძნება სტატისტიკურ მონაცემებს და კვლევებიდან მიღებულ შედეგებს, დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება მიღებული მონაცემების ანალიზს არსებული მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

განხილვა და დისკუსია:

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საქართველოში დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის წარმატებით მიმდინარეობს. მისი საკანონმდებლო რეგულაცია პრინციპულად განსხვავებულია და მისი დამკვიდრება ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნებს უკავშირდება. ახალი კანონის მიღებიდან მცირე დროის გასვლის მიუხედავად, პრაქტიკამ ცხადყო, რომ გარკვეული მიდგომები სრულ შესაბამისობაში მოვიდა და ნაწილი კვლავ საჭიროებს დახვეწას.

მცირე და საშუალო ბიზნესის ისტორია და გამოცდილება გვამღევს სათქმელს,

იმის შესახებ რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში აღნიშნული სფერო ვერ განვითარდება და ვერ გახდება ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფერო თუ მას სახელმწიფოს მხრიდან არ ექნებათ აქტიური რეგულირება და მხარდაჭერა. სწორედ საბაზრო მექანიზმებით რეგულირება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება არის მნიშვნელოვანი აღნიშნული სფეროს განვითარებისათვის.

კვლევების საფუძველზე ნაწილი მეცნიერების და ექსპერტების თვლიან, რომ აქტიური საფინანსო პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკური წონასწორობა, დაძლიოს მასობრივი უმუშევრობა. სხვა მეცნიერები და ექსპერტები კი თვლიან, რომ ბიზნესში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია მრავალი მიზეზითაა რაც გულისხმობს ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას, ერთობლივი ძალისხმევით და შეუძლებელია მათი რეალიზება მხოლოდ საბაზრო მექანიზმის მეშვეობით. სრულყოფილი ეკონომიკური სისტემის დამახასიათებელი ფაქტორი არის ის რომ სახელმწიფომ დაარეგულიროს ბიზნესიც და საერთოდ ეკონომიკა. სახელმწიფო აყალიბებს ბიზნეს გარემოს და ხელს უწყობს მის ფორმირებას.

საქართველოში, უკანასკნელი წლების ეკონომიკური კვლევების საფუძველზე მაჩვენებლები იძლევა გარკვეულ ანალიზს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ფაქტორთა შორის ფინანსური აღრიცხვის სისტემის არაეფექტურობა წარმოადგენდა. ეკონომიკურ საქმიანობაში არსებული მდგომარეობა ქმნიდა მნიშვნელოვან ბარიერებს, რაც სიტუაციის გართულებას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად დროულად ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ხშირად აღნიშნული ცვლილებები უფრო ართულებდა ქვეყანაში არსებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, როგორც უკვე მომქმედი ბიზნესის მართვისას, ასევე ყოველივე ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვნად ცვლიდა საინვესტიციო გარემოს, რაც საშუალებას არ აძლევდა ინვესტორებს დაეხმადებინათ საკუთარი ფულადი სახსრები ხანგრძლივად.

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და სწრაფი განვითარება, ჩამოყალიბება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობასთან ნებისმიერი ქვეყანისათვის საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე თანმიმდევრულად მიმდინარეობს ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფა, ასევე ხორციელდება იმ მიმართულებების ძიება, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ საკანონმდებლო ბაზის შექმნას. მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტები რომელიც ამოქმედდა 2006 წლიდან, წარმოადგენდა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამარტივებულ ვერსიას. 2009 წელს კი, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საფუძველი გახდა 2016 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილებების კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ, რომელიც ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებით განხორციელდა და რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა აღრიცხვის რეგულირების ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩვენი ქვეყნის სპეციფიური თავისებურებების გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნებს უკავშირდება.

მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება სამართლიან ინფორმაციას და ისეთ ძირითად დაშვებებს და პრინციპებს, როგორებიცაა: ფუნქციონირებადობის პრინციპით აღრიცხვა, დარიცხვის მეთოდი, წინდახედულობა და არსებითობა.

მცირე და საშუალო საწარმო ვალდებულია ყოველწლიურად წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი, რაც თავის მხრივ მოიცავს: საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით შედგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას და სამ განმარტებით შენიშვნას.

საქართველოში ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო გამოქვეყნება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, ფინანსური გამჭვირვალობის თვალსაზრისით ამტკიცებს, რომ საქართველოში განხორციელებული ცვლილებები ამ კუთხით თანდათან ჰარმონიზდება ევროკავშირის აღიარებულ სტანდარტებთან. აღიშნულ პროცესში ჩაერთვნენ საერთაშორისო აუდიტორული კომპანიებიც, რომლებიც ერთი მხრივ უზრუნველყოფენ ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის პროფესიულ მხარდაჭერას და მეორე მხრივ თავად ახორციელებენ ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებას.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა და საჭიროა გამოვეყნოთ ის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები, რომლებსაც ადგილი აქვს და რომელთა წინაშეც დადგა მეწარმე სუბიექტები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესში: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მომხმარებელთა არასათანადოდ ინფორმირება; მოქმედი სპეციალისტების ცოდნის და გაცნობიერების ხარისხი; ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების ზოგიერთი ნაწილის ძნელად აღქმადობა და გარკვეული უზუსტობები; პრაქტიკული რეკომენდაციების ნაკლებობა; დასაქმებული სპეციალისტების დაბალი კვალიფიკაცია და მოთხოვნებთან შესაბამისი უნარ-ჩვევების და კომპეტენციის დაბალი დონე.

სტატისტიკური მონაცემები და შედეგები:

სტატისტიკურ მონაცემები და შედეგები ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროების შესახებ გვამღევს ინფორმაციას, რომლებიც უკანასკნელი პერიოდის დინამიკას ეფუძნება. მონაცემებზე დაყრდნობით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის საქართველოში სხვადასხვა წლებში განსხვავებულად მიმდინარეობდა. არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზიდან გამომდინარე ვალდებულების პირობის არარსებობით 2016-2017 წლებში, შეინიშნებოდა შედარებით გულგრილი მიდგომები და სტატისტიკურმა მონაცემებმა ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროების დაბალ მაჩვენებლები გამოაქვეყნა. საკანონმდებლო აქტებში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე 2018 წლიდან სავალდებულო გახდა ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც საზოგადოებრივად დაინტერესებული პირების და პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებისთვის. სტატისტიკურმა მონაცემებმა მაჩვენებლების ზრდა დააფიქსირა. კოვიდ პანდემიის პერიოდში 2019 წლის შედეგები კლებისგან წავიდა. 2020-2021 წლებში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საგრძნობ მტებასთან გვექონდა საქმე, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება სავალდებულო გახდა უკვე ყველა კატეგორიის

საწარმოებისათვისაც.

სქემა N1-ზე მოცემულია 2023 წლის შედეგების მიხედვით ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის და მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

2023 წლის ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის და მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

სქემა N1



2022 წელთან შედარებით, 2023 წელს, საერთო შედეგების შედარებით, გარკვეულ შემცირებასთან გვაქვს საქმე, რაც გარკვეულად მცირე და საშუალო საწარმოების ხარჯზე მოდის.

სქემა N2-ზე დეტალურად მოცემულია 2024 წლის შედეგების მიხედვით ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის და მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის და მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

სქემა N2



2024 წელს კი, შედარებით მცირე ზრდასთან გვაქვს საქმე, რაც გარკვეულად მცირე და საშუალო საწარმოების და ხარჯზე მოდის.

დასკვნა:

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ეტაპობრივად მიმდინარეობს. საქართველოში, უკანასკნელი წლების ეკონომიკური კვლევების საფუძველზე მაჩვენებლები იძლევა გარკვეულ ანალიზს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ფაქტორთა შორის ფინანსური აღრიცხვის სისტემის არაეფექტურობა წარმოადგენდა. ეკონომიკურ საქმიანობაში არსებული მდგომარეობა ქმნიდა მნიშვნელოვან ბარიერებს, რაც სიტუაციის გართულებას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად დროულად ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ხშირად აღნიშნული ცვლილებები უფრო ართულებდა ქვეყანაში არსებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, როგორც უკვე მომქმედი ბიზნესის მართვისას, ასევე ყოველივე ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვნად ცვლიდა საინვესტიციო გარემოს, რაც საშუალებას არ აძლევდა

ინვესტორებს დაეხმადებინათ საკუთარი ფულადი სახსრები ხანგრძლივად.

მსოფლიო გამოცდილებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და განვითარება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში უმეტესად რეგულირების გამართული სისტემით არის შესაძლებელი. თანამედროვე სტანდარტების სისტემის ჩამოყალიბება ნებისმიერი ქვეყანაში რთული და ხანგრძლივი პროცესია და საქართველოშიც კვლავაც მიმდინარეობს ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის მიმართულების ძიება და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა. საკანონმდებლო რეგულაციები პრინციპულად განსხვავებულია და მისი დამკვიდრება ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად ევროპული დირექტივების მოთხოვნებს უკავშირდება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი დახვეწა, განვითარება და სრულყოფა შესაძლებელს გახდის:

- ბიზნესში საფინანსო შეუსაბამოების მყისიერად გამოვლენას და ეფექტურად გადაწყვეტას;
- არსებული და მოსალოდნელი რისკების ეფექტურ მართვას;
- ანგარიშგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას;
- ბიზნესის სტაბილურობის და უსაფრთხოების დაცვას;
- მომსახურე პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებას და შესაბამისად კვალიფიციური სამუშაო ადგილების ზრდას.

პრაქტიკამ და ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული და გამართული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მოთხოვნები და მიდგომები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის წარმოადგენს სამეურნეო სფეროს აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიდგომები სრულ შესაბამისობაში მოვიდა, პრაქტიკამ ცხადყო, რომ გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს შემდგომი მოთხოვნების და მიდგომების დახვეწას და სრულყოფას.

მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურება სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ხასიათის ერთერთი განმსაზღვრელია. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით ბიზნეს ურთიერთობების გამარტივების შესაძლებლობაა, რაც გვაძლევს საშუალებას ნებისმიერი ბიზნეს სუბიექტის ანგარიშგება გახდეს ადვილად აღსაქმელი, გასაგები და შესადარისი საერთაშორისო მასშტაბით.

Regulation of Financial Reporting Standards in Georgia for Small and Medium Enterprises in Relation to International Standards

Tchiotashvili David

Gori State University, Gori, Georgia

ORCID-0000-0002-2500-6252

Chitadze Khaliana

Gori State University, Gori,

ORCID-0000-0001-6795-9484

Abstract

International Financial Reporting Standards are the international global language of business relations, which allows any business entity to make its reporting easily understandable, understandable and comparable on an international scale. The transition and implementation of

international financial reporting standards for small and medium-sized enterprises in Georgia is successfully underway, but the problem is that despite various multifaceted and extensive works, these issues are still a matter of discussion, debate and controversy. The main issues and approaches to increasing the reliability and transparency of financial reporting for small and medium-sized enterprises in Georgia have not yet been formulated as a final result.

The main goal of the paper is to study and analyze the regulation of international financial reporting standards for small and medium-sized enterprises in Georgia. The scope of the Financial Reporting Standard for Small and Medium-sized Enterprises, the assessment of accounting policies and the challenges through which financial statements demonstrate the accountability of top management for the management of small and medium-sized enterprises are analyzed.

Keywords: financial reporting; small and medium-sized enterprises; financial reporting regulation; international accounting standards.